ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის

ოქმი № 26

სხდომა ჩატარდა სარევიზიო, განათლებისა და კულტურის და სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიებთან ერთად

27 ივლისი 2018 წ. ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი № 2

11:00 სთ

მოწვეული სტუმრები:

მერიის საფინასო საქალაქო სამსახურის უფროსი - გაიოზ თალაკვაძე

საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე- ლევან მიქავა

სსიპ ქონების მართვის სააგენტო წარმომადგენელი - ნინო კვეტენაძე

კომპანია „სითი ბოქსის" წარმომადგენლები - ანა შანიძე, ეკეტერინე თორდია

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ :

1. კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი ზარქუა

2. კომისიის წევრები: ლევან დავითაშვილი, რამინა ბერაძე, დავით უთმელიძე, ლევან დარახველიძე, ირაკლი ნადირაძე.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრებოდა კომისიის წევრთა უმრავლესობა.

გაერთიანებული კომისიების სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ზარქუა.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას, მოკლედ ისაუბრა ბიუჯეტში განსახორციელებელ ცვლილებებზე და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დღის წესრიგის პირველ განიხილავს ყველა კომისია, ხოლო დანარჩენი საკითხების განხილვას განაგრძობს ქონების მართვის და საფინანსო საბუჯეტო კომისია.

კენჭი უყარეს წარმოდგენილ დღის წესრიგს.

დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №6-8 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ (წერილი №12-031820624-03; 25.07.2018);
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და აუქციონში გამარჯვებული პირის -

შპს „კონსალტინგ გრუპის“ (უფლებამონაცვლე შპს „სითი ბოქსი“ ს/კ 439402843) შორის 2017 ქლის 31 მაისს გაფორმებულ იჯარის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე (წერილი №12-031819253-03 11.07.2018);

3. ქალაქ თბილისში გ. ჩიტაიას ქ. №17-ში მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართბების (საკადასტრო კოდ(ებ)ი: №01.16.06.006.008.01.507; №01.16.06.006.008.01.508) ყოფილი საბინაო სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ (წერილი №12-0318190103-03);
4. ქალაქ თბილისის მერიასა და კორპორაცია „პარტნიორები საერთაშორისო განვითარებისთვის“ საქართველოს წარმომადგენლობას“ (ს/კ 236097326) შორის 2009 წლის 21 ოქტომბერს გაფორმებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მყიდვის ფორით ნასყიდობის შესახებ“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შეცვლის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 13 ივლისის №18.526.841 განკარგულება (წერილი №12-031820443-03; 23.07.2018);
5. „ქ. თბილისში, ბოგადნ ხმელნიცკის ქ. №147ა-ს მიმდებარედ 25 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადსტრო კოდი: №01.17.14.002.089) აუქციონის განსაკუთრებული პირობების/შეზღუდვების გაუქმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 13 ივლისის №18.527.840 განკარგულება (წერილი №12-031820443-03; 23.07.2018).

დღის წესრიგი დამტკიცებულ იქნა.

მოისმინეს გაიოზ თალაკვაძის ინფორმაცია ბიუჯეტში ცვლილებებთან დაკავშირებით. გაიოზ თალაკვაძემ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ძირითადად ხორციელდება საქართველოს მთავრობის 2018 წლის 2 ივლისის №1341 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზების სარეაბილიტაციო ღონისძიებების დასაფინანსებლად, სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დამატებით გამოყოფილია 10 000,0 ათასი ლარი. შესაბამისად ბიუჯეტის მოცულობა გაიზარდა და შეადგენს 916 863,6 ათას ლარს. გარდა ამისა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და რაიონის გამგეობების მიერ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განხორციელებული ტენდერების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიების და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი დამატებითი მოთხოვნების შესახებ წარმოდგენილი წინადადებების გათვალისწინებით მოხდა ასიგნებების გადანაწილება.

საქართველოს მთავრობის მიერ გამოყოფილი გრანტი და ბიუჯეტის გადასახდელებში მოძიებული რესურსი, რომელიც დაახლოებით 10 მლნ. ლარს შეადგენს გადანაწილდა შემდეგ პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე:

იზრდება :

გზების მშენებლობა აღდგენა (კოდი 01 01 01) – 10 000,0 ათასი ლარით; გზების მოვლა–შეკეთება გლდანის (475,0 ათასი ლარით), ნაძალადევის (309,4 ათასი ლარით), დიდუბის (29,5 ათასი ლარით), ჩუღურეთის (250,0 ათასი ლარით), ვაკის (10,0 ათასი ლარით), საბურთალოს (300,0 ათასი ლარით), სამგორის (300,0 ათასი ლარით) და კრწანისის (400,0 ათასი ლარით) რაიონებში. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) იზრდება 1 048,4 ათასი ლარით: ქალაქ გაფორმებითი ღონისძიებები (კოდი 02 07) იზრდება 555,0 ათასი ლარით. კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის, დიდუბის, ჩუღურეთის, ისნის, კრწანისის და მთაწმინდის რაიონებში ჯამში იზრდება 2 891,1 ათასი ლარით. ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 02 10) – 300,0 ათასი

არით; ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 03 03 02) – 100,0 ათასი ლარით; თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში (კოდი 04 04) - 5,0 ათასი ლარით; თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა (კოდი 04 08) – 255,0 ათასი ლარით; საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელება (კოდი 07 02 04) 500,0 ათასი ლარით; პროგრამა „კულტურული ღონისძიებები" (კოდი 08 05), კულტურის სფეროში სხვადასხვა პროექტების დასაფინანსებლად იზრდება 1 000,0 ათასი ლარით. სპორტული ღონისძიებები (კოდი 08 06 01) – 500,0 ათასი ლარით; თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების დაცვის უზრუნველყოფა (კოდი 09 01) – 12,0 ათასი ლარით; მერიის ადმინისტრაცია (კოდი 10 02) – 1 010,0 ათასი ლარით; ისნის რაიონის გამგეობა (კოდი 10 33) – 51,0 ათსი ლარით. ასევე ემატება ახალი ქვეპროგრამა „მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა" (კოდი 07 03 03) რომლისთვისაც განსაზღვრულია 289,8 ათასი ლარი.

მცირდება:

გზების მოვლა–შეკეთება ისნის (კოდი - 01 01 14)- 630,0 ათასი ლარით და მთაწმინდის რაიონში (კოდი 01 01 17) – 16,8 ათასი ლარით. კეთილმოწყობის ღონისძებები გლდანის რაიონში (კოდი 02 09 10) - 125,0 ათასი ლარით; ინოვაციების და ტექნოლოგიების განვითარება (კოდი 04 10) – 10,0 ათასი ლარით; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა რაიონებში (კოდი 05 01) – 6 677,9 ათასი ლარით; ინკლუზიური განთლების ხელშეწყობა (კოდი 07 02 07) – 100,0 ათასი ლარით; თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 07 03 01) – 5,5 ათასი ლარით; თბილისის მედიათეკების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 07 03 02) – 253,6 ათასი ლარით; მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები (კოდი 07 06 02) – 900,0 ათასი ლარით; ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლე (კოდი 08 04 02) – 36,2 ათასი ლარით; მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 08 03 12) – 12,6 ათასი ლარით; კულტურული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები (კოდი 08 04 04) 23,6 ათასი ლარით; სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა (კოდი 08 06 04) – 600,0 ათსი ლარით; წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი (კოდი 10 26) – 1 200,0 ათასი ლარით.

როგორც გაიოზ თალაკვაძემ აღნიშნა, ძირითადი კლებაა 6 677,9 ათასი ლარი, რომელიც „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის" პროგრამას აკლდება. როგორც ცნობილია მოხდა „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის" პროგრამის განხორციელებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების არიცხვის (ბმა) ახალი წესის მიღება და პროგრამამ ფაქტიურად გვიან დაიწყო მუშაობა. გამომდინარე აქედან, რომ არ მოხდეს პროგრამის თანხების აუთვისებლობა ეს თანხა გადანაწილდა სხვადასხვა პროგრამა/ქვეპროგრამებში.

„ბმა" წესზე ისაუბრა აგრეთვე, ირაკლი ზარქუამ და რიმა ბერაძემ. როგორც ირაკლი ზარქუამ აღნიშნა „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის" პროგრამის განხორციელებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების არიცხვის (ბმა) ახალი წესის მიღება მოხდა დაგვიანებით. ასევე ამ წესმა არ გაამართლა და საჭიროებს დახვეწას. რიმა ბერაძემ კი აღნიშნა, რომ რაიონები სადაც ვერ მოხდა „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის" პროგრამით გამოყოფილი თანხების ათვისება ძირითადად იყო ძველი თბილისის რაიონები რომლებშიც ძირითადად გამაგრებითი სამუშაოების ჩატარება იყო საჭიროა.

ბიუჯეტში ცვლილებების განხილვა გაიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

შეკითხვები ქონდათ ირაკლი ნადირაძეს, დავით ჟღენტსა და ლევან ხაბეიშვილს. მათი შეკითხვები ძირითადად ეხებოდა „ბმა" წესს, აგრეთვე შეკითხვები დაისვა მერიის ადმინისტრაციის, კულტურული და სპორტული პროგრამების, „საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელების" პროგრამის ასიგნებების ზრდასთან დაკავშირებით. ირაკლი ნადირაძემ შეკითხვა დასვა თუ რატომ

ბირდება „ინკლუზიური განთლების ხელშეწყობის“ პროგრამა, რაზეც თამარ ტალიშვილმა უპასუხა რომ განათლების სამინისტომ დააფინანსა მცირე მხედველთა აპარატურის შეძენა და ასევე „ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში უნდა მოწყობილიყო დარბაზი რომელიც გამოთავისუფლდა და ამ მიზნისთვის განკუთვნილი თანხა აღარ გახდა საჭირო. ბიბლიოთეკებთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ მიმდინარე რეფორმიდან გამომდინარე შეიქმნა ახალი პროგრამა „მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა“, რომელისთვისაც გამოყოფილია 289,0 ათასი ლარი. რაც შეეხება მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში მიმდინარე სარემონტო-სამშენებლო სამუშაოებს, გამომდინარე იქიდან რომ შენობა არის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, იგეგმება რომ აღნიშნული სამუშაოები გააგრძელოს განვითარების ფონდმა. აქედან გამომდინარე მოხდა ცვლილებაც.

სპორტულ ღონისძიებებთან დაკავშირებით შეკითხვებს უპასუხა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ჩაკვეტძემ. მან აღნიშნა, რომ სპორტულ ღონისძიებებთან დაკავშირებით მოთხოვნა იზრდება და შესაბამისად საჭიროა ასიგნებების გაზრდაც. მაგალითისთვის გიორგი ჩაკვეტაძემ აღნიშნა თელავის ჩემპიონატის თბილისში გადმოტანა.

„საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელების“ პროგრამის ასიგნებების ზრდასთან დაკავშირებით საკრებულოს წევრების შეკითხვებს უპასუხეს ბექა დავითულიანმა და მარიკა დარჩიამ. როგორც ბექა დავითულიანმა აღნიშნა პროგრამის დაიფინანსების გაზრდა საჭიროა ქალაქში დაგეგმილი სხვადასხვა ღონიძიებების შესახებ მოსახლეობისთვის მეტი ინფორმაციის მისაწოდებლად. მაგალითად, სატრანსპორტო პოლიტიკა სადაც მკაფიო ნაბიჯებია დაგეგმილი, განმარტებების გარეშე მოსახლეობისთვის იქნება უხეშად აღსაქმელი (მაგალითად მოიყვანა ტაქსების რეგულირება, ასევე „მბა“ წესი), ამიტომ საჭიროა მეტი ინფორმაცია და მეტი კომუნიკაცია.

სხდომის თავმჯდომარემ მოკლედ შეაჯამა წარმოდგენილი ცვლილებები და საკითხი კენჭისყრაზე დააყენა. კომისიის წევრებმა კომისიების მიხედვით ცალ-ცალკე უყარეს კენჭი **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის N6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის** საკრებულოს სხდომაზე გატანას.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრების უმრავლესობამ მხარი დაუჭირა წარმოდგენილ პროექტს. წინააღმდეგი - ირაკლი ნადირაძე.

მოისმინეს: *ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და აუქციონში გამარჯვებული პირის - შპს „კონსალტინგ გრუპის“ (უფლებამონაცვლე შპს „სითი ბოქსი“ ს/კ 439402843) შორის 2017 ქლის 31 მაისს გაფორმებულ იჯარის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.*

მომხსენებელი - ნინო კვეტენაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და აუქციონში გამარჯვებულ პირს - შპს „კონსალტინგ გრუპს" (უფლებამონაცვლე: შპს „სითი ბოქსი“ ს/კ: 439402843) შორის 2017 წლის 31 მაისს გაფორმდა იჯარის ხელშეკრულება. ხელშეკრულების თანახმად მოიჯარე ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 (ექვსი) თვის ვადაში, მითითებულ საკადასტრო ერთეულებზე განათავსოს 30 ერთეული რეტერატი (საზოგადოებრივი საპირფარეშო). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 9

ემბრის №42.06.818 განკარგულებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №70 განკარგულების საფუძველზე შპს „კონსალტინგ გრუპის" მიეცა დამატებითი ვადა 2017 წლის 30 ნოემბრიდან 2018 წლის 31 ივლისამდე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად და გათავისუფლდა დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან ვალდებულებების დარღვევისათვის 2017 წლის 30 ნოემბრიდან 2018 წლის 31 ივლისამდე. 2018 წლის მარტი-ივლისის თვეში შპს „სითი ბოქსმა" რამდენიმე განცხადებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და განაცხადა, რომ დედაქალაქში რეტერატების განთავსების პროექტის ძირითად პრობლემას წარმოადგენს საკომუნიკაციო ქსელების გაყვანა, გარკვეულ ლოკაციებზე რეგულირებად ნორმებში საკანალიზაციო ქსელის მოწყობის შეუძლებელობის გამო. აქედან გამომდინარე, მოიჯარემ მოითხოვა ცალკეული ლოკაციების ადგილმონაცვლება და რეტარატების განთავსებისა და ექსპლუატაციაში გაშვების ვადის გადავადება, 2018 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით. კერძოდ, 16 რეტერატს გაუშვებს ექსლუატაციაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის №18.508.821 განკარგულების დანართი 3-ში მითითებულ ლოკაციებზე, არაუგვიანეს 2018 წლის 20 აგვისტოსი, ხოლო 14 რეტერატს დანართ 4-ში მითითებულ ლოკაციებზე, არაუგვიანეს 2018 წლის 31 ოქტომბრისა.

აზრი გამოთქვეს ირაკლი ნადირაძემ და რევაზ სოხაძემ.

კომპანიის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ 29 ივლისს ყველა რეტერატი იქნება თბილისში და ეს დამატებითი დრო ძირითადად საჭიროა ინსტალაციისა და იურიდიული მომსახურებისთვის.

კომისიის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე. კომისიის ყველა წევრმა მხარი დაუჭირა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: *ქალაქ თბილისში გ. ჩიტაიას ქ. №17-ში მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართების (საკადასტრო კოდ(ებ)ი: №01.16.06.006.008.01.507; №01.16.06.006.008.01.508) ყოფილი საბინაო სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ.*

მომხსენებელი - ნინო კვეტენაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს ქონების მართვის სააგენტოს 2016-2018 წლებში განცხადებებით მიმართეს ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებმა ემირ ქვაჩახიამ და ლელა ქოქოსაძემ და ითხოვეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, გ. ჩიტაიას ქ. N17-ში მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართების (საკადასტრო კოდი N01.16.006.008.01.507 და N01.16.06.006.008.01.508) საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებული ან შესაძლო გამოვლენილ სახელმწიფო საშიანო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ. წარმოდგენილ საკითხზე ასევე ქალაქ თბილსიის მუნიციპალიტეტის მერიასთან იშუამდგომლა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგეობამ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ. ემირ ქვაჩახია და ლელა კოკოსაძე, როგორც განცხადებებში აღნიშნავენ 10 წელზე მეტია ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე ოჯახებთან ერთად.

საკითხთან დაკაშირებით შეკითხვები არ დასმულა.

ომისიის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე. კომისიის ყველა წევრმა მხარი დაუჭირა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: *ქალაქ თბილისის მერიასა და კორპორაცია „პარტნიორები საერთაშორისო განვითარებისთვის“ საქართველოს წარმომადგენლობას“ (ს/კ 236097326) შორის 2009 წლის 21 ოქტომბერს გაფორმებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მყიდვის ფორით ნასყიდობის შესახებ“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შეცვლის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 13 ივლისის №18.526.841 განკარგულება*

მომხსენებელი - ნინო კვეტენაძე

„ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 ოქტომბრის №675 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მერიასა და კორპორაცია „პარტნიორები საერთაშორისო განვითარებისთვის“ საქართველოს წარმომადგენლობას“ (ს/კ 236097326) შორის 2009 წლის 21 ოქტომბერს გაფორმდა „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მყიდვის ფორით ნასყიდობის შესახებ“ ხელშეკრულება, რომლითაც მყიდველს სიმბოლურ ფასად - 1 000 (ათასი) ლარად საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირი №65-ის I სართულზე მდებარე 466,35 კვ.მ ფართი, შესაბამისი წილობრივი მიწის ნაკვეთით (საკადასტრო კოდი: №01.17.13.039.005.01.503), ქ. თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირი №65-ში არსებულ სარდაფში მდებარე 401.47 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: №01.17.13.039.005.01.502) და ქ. თბილისში, პატარძეულის ქ. №8-ში მდებარე 625 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №01.17.13.049.010) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა №1, საერთო ფართობით 44.14 კვ.მ. ხელშეკრულებით განისაზღვრა მყიდველის მიერ შესასრულებელი საპრივატიზებო პირობები: გადაცემულ ობიექტებში უწყვეტი სამედიცინო განათლების, სახელობო საექთნო განათლების და დიპლომირებული ექთნების გადამზადების უზრუნველყოფა; გადაცემულ ობიექტებში ი. ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად თანამედროვე, დასავლური სტანდარტების საექთნო სკოლის ჩამოყალიბება. კორპორაცია „პარტნიორები საერთაშორისო განვითარებისთვის“ საქართველოს წარმომადგენლობამ წარმოადგინა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, სადაც აღნიშნულია რომ კორპორაცია „პარტნიორები საერთაშორისო განვითარებისთვის“ საქართველოს წარმომადგენლობის მიერ 30.03.2011-28.02.2018 წწ პერიოდში, უზრუნველყოფილია უწყვეტი სამედიცინო განათლება, სახელობო საექთნო განათლების და დიპლომირებული ექთნების გადამზადება. გამოსაკვლევ პერიოდში ი. ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად თანამედროვე, დასავლური სტანდარტების საექთნო სკოლის ჩამოყალიბება არ მომხდარა. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებით, კორპორაცია „პარტნიორები საერთაშორისო განვითარებისთვის“ საქართველოს წარმომადგენლობამ, სსიპ-ქონების მართვის სააგენტოში წარმოადგინა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წერილი, სადაც აღნიშნულია რომ აბიტურიენტთა შორის საექთნო პროფესიის მიმართ არსებული უკიდურესად დაბალი ინტერესის და უკვე არსებული საექთნო საბაკალავრო პროგრამების გამო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე ერთობლივი საექთნო სკოლის ჩამოყალიბება, უნივერსიტეტს მიზანშეწონილად არ მიაჩნია. აღნიშნულის გათვლისწინებით, კორპორაცია „პარტნიორები საერთაშორისო განვითარებისთვის“ საქართველოს წარმომადგენლობა ითხოვს ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.4 პუნქტში მითითებული ვალდებულების შესრულებისას ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამონაწილეობის გაუქმებას.

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა.

კომისიის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე. კომისიის ყველა წევრმა მხარი დაუჭირა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: *„ქ. თბილისში, ბოგადნ ხმელნიცკის ქ. №147ა-ს მიმდებარედ 25 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №01.17.14.002.089) აუქციონის განსაკუთრებული პირობების/შეზღუდვების გაუქმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 13 ივლისის №18.527.840 განკარგულება.*

მომხსენებელი - ნინო კვეტენაძე

2012 წლის 19 მარტის აუქციონში გამარჯვებულ პირს გივი სიდამონიძეს (პ/ნ 01011015451) საკუთრებაში გადაეცა ქალაქ თბილისში, ისანი, ბიგდან ხმელნიცკის ქ. N147ა-ს მიმდებარედ 25 კვ.მ მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდი N01.17.14.002.089, რომლის ღირებულებამაც შეადგინა 3 500 ლარი. ოქმის თანახმად აუქციონის განსაკუთრებულ პირობად განისაზღვრა შეზღუდვა: ენერგო ობიექტის განთავსება. გივი სიდამონიძემ მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელით შეზღუდვის „ენერგო ობიექტის განთავსება" გაუქმებაზე, რაც სასამართლომ დაუკმაყოფილა და სააგენტოს დაევალა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა შეზღუდვის მოხსნაზე. თბილისის საქალაქო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება სააგენტოს მიერ გასაჩივრებულ იქნა სააპელაციო სასამართლოში. სასამართლომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სააპელაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 26 სექტემბრის განჩინებით სააგენტოსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივრები დაუშვებლად იქნა ცნობილი.

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა.

კომისიის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე. კომისიის ყველა წევრმა მხარი დაუჭირა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ზარქუა